

კომპლექსურ დავალებამე მუშაობის რეფლექსია

კომპლექსური დავალებებით მუშაობა ემყარება სწავლების კონსტრუქტივისგული მიდგომის ძირითადი პრინციპებს. ის არის აქტიური სწავლა-სწავლების საუკეთესო საშუალება. ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. მოსწავლეები ცოდნის აგებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით; მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს. ეხმარება მოსწავლეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზებაში. იძლევა საგანთაშორის კავშირების დანახვის და დამყარების საშუალებას. კომპლექსურ დავალებამე მუშაობის პროცესში აქცენტი კეთდება გააზრებაზე და არა დამახსოვრებაზე. რაც უმთავრესია, ხელს უწყობს ახალგაზრდის წარმოსახვის უნარების განვითარებას.

ჩემ პრაქტიკაში განვახორციელე რამდენიმე კომპლექსური დავალება. რამდენიმე შევექმენი საკუთარი ავტორობით. ერთ დავალებამე სტაგიატ გამოვაქვეყნე და სიმაყით მინდა ავლიშნო, რომ ამ სტაგიატ დიდი მოწონება დაიმსახურა პედაგოგიური სამოგალობისმხრიდან.

http://mastsavlebeli.ge/?p=31086&fbclid=IwAR1flMLRournWflKmBqwmnDUSKt4mQkliLF2_Hrh9qlgys8SRAHLY5Ubux4

კომპლექსური დავალება „კატაპულტი“ მოიცავს ესგ-ს შემდეგ მიზნებს:

ფიზ.საბ.2. სხეულთა ურთიერთქმედებაზე და ურთიერთქმედების შედეგებზე არგუმენტირებული მსჯელობა;

ფიზ.საბ.3. ენერგია სახეების დახასიათება და მათ ურთიერთგარდაქმნაზე არგუმენტირებული მსჯელობა;

ფიზ.საბ.4. ფიზიკური მოვლენების შესწავლის მიზნით კვლევის (ცდა,ექსპერიმენტი) დაგეგმვა (ჰიპოთეზების შემუშავება, დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განსაზღვრა, კვლევის პროცედურის, მონაცემების აღრიცხვის ფორმის განსაზღვრა, სათანადო რესურსების შერჩევა).

ფიზ.საბ.5. ფიზიკური პროცესებისა და კანონზომიერებების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება (დაკვირვება, გაზომვა, მონაცემების აღრიცხვა, შესაბამისი მასალისა და აღჭურვილობის აღეკვბურად გამოყენება);

ფიზ.საბ.6. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით (ცხრილებით, დიაგრამებით, გრაფიკებით და სხვ.) ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

ფიზ.საბ.8. მოდელების შექმნა და გამოყენება ფიზიკური მოვლენების/კანონზომიერებების საჩვენებლად;

თემა: მექანიკური მოვლენები

სამიზნე ცნება: ენერგია

ქვეცნებები:

მარტივი მექანიზმები; მექანიკური მუშაობა, მექანიკური ენერგია.

საკითხები:

მექანიკური მუშაობა; სიმძიმის ძალის მუშაობა; სიმძლავრე; მექანიკური ენერგია; პოტენციური ენერგია; კინეტიკური ენერგია; ენერგიის გარდაქმნა; მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონი;

კომპლექსურ ღვაწლებზე მუშაობა ძირითადად იყო წარმატებული. ძლიერ მხარედ გამოვეყოფი შედეგ პუნქტებს:

თავიდანვე გავწერე შუალედური და გრძელვადიანი მიზნები; ვზრუნავდი, რომ თითოეული მოსწავლე აქტიურად ყოფილიყო ჩართული კომპლექსური ღვაწლების განხორციელებაში (ვითვალისწინებდი მოსწავლეთა აღქმის გიპებს). სასწავლო რესურსები მოვარგე თითოეული მოსწავლის საჭიროებას; ფასილიტაციას ვუწევდი კომპლექსურ ღვაწლებზე მუშაობის მიმდინარეობას; ვცდილობდი მოსწავლეთა აქტიურად და შემოქმედებითად ჩართვას სამუშაოს შესრულებაში; ვაკავშირებდი გასახილველ საკითხებს რეალურ ცხოვრებასთან. ვცდილობდი მოსწავლეთა თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნაზე ახალ კონტექსტებზე დაყრდნობით; ვაწვდიდი არა მარტო ფრაგმენტულ ცოდნას, არამედ ვახდენდი სხვადასხვა ცოდნათა დაკავშირებას.

ამ კომპლექსური ღვაწლებით ესგ-ს მიზნების რამდენიმე კომპონენტის მიღწევაა შესაძლებელი. კონკრეტულად, მოიცავს არამარტო თეორულ საკითხების დასწავლას, არამედ მოდელების შექმნას, საინფორმაციოს ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებას და სხვა.

მოსწავლეთა შეფასება განვახორციელე სოლოგაქსონომიით შექმნილი რუბრიკით. შეფასებები ასე გადანაწილდა:


პრესტრუქტურული -0

უნიტრუქტურული-3

მულტისტრუქტურული-10

მიმართებითი-9

გაფართოებული აბსტრაქტული-2



კომპლექსურ ღვაწლებზე მუშაობისას მოსწავლეთა აქტიურობა იყო საშუალო. ამის მიზეზად შეიძლება რამდენიმე ფაქტორის დასახელება:

- კომპლექსურის ღვაწლებით მუშაობის დანერგვის პროცესი;
- მოსწავლეთა მოტივაცია;
- მათი აღქმის გიპების გათვალისწინების შესაძლებლობა;
- მასწავლებლის მუშაობის ხელოვნება.

მომავლში არა მარტო მე, ზოგადად უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი:

- მნიშვნელოვანი სასკოლო გარემო, კაბინეტური სწავლება;
- კომპლექსური ღვაწლები მოიცავდეს მცირე რაოდენობით ქვეცნებებს;

- მნიშვნელოვანია ინდივიდუალურად გავითვალისწინოთ მოსწავლეთა აღქმის ტიპები;
- კარგად ავესსნათ მოსწავლეებს, რომ შესაძლებელია ჯგუფებში მუშაობა, მთავარია დავალება წარმოადგინონ ინდივიდუალურად;
- კომპლექსური დავალება არ უნდა გახდეს ერთადერთი ფორმა სწავლა-სწავლების პროცესში-

ა) კათედრებმა უნდა განიხილონ კომპლექსური დავალებების პერიოდის და რაოდენობის განსაზღვრა;

ბ) კონკრეტულ კლასში მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საშუალება, განსაზღვროს რომელი აქტივობები გაიყვანს ესგ-მიზნებზე, მაგ. საკლუბო, საწრეო მუშაობა, ვიქტორინები, კონკურსები. კონფერენციები.

- შეზავებულად უნდა მოხდეს ყველა დაგეგმილი სამუშაოს თემატურ გეგმაში თანმიმდევრობით გაწერა.